ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, სამგორის ქ. N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.17.12.003.190) დაპროექტებული მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

ექსპერტი: ირაკლი კვარაცხელია

თ ბ ი ლ ი ს ი

2 0 2 0

საფუძველი: „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, სამგორის ქ. N3 (ს/კ: 01.17.12.003.190)

ობიექტის ფუნქციური დანიშნულება: მრავალფუნქციური შენობა

საპროექტო ორგანიზაცია/პროექტის ავტორ(ებ)ი: შ.პ.ს „არქ დიზაინ გრუპ” / ლევან კვეტენაძე

წარმოდგენილი მასალა: არქიტექტურული პროექტი („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტი N57 დადგენილების 47-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობით)

გამოსაკვლევი ნაწილები:

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად წინამდებარე საექსპერტო შეფასება მოიცავს არქიტექტურული პროექტის შემდეგ ნაწილებს:

ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;

გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების

შეფასებას;

ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;

ვ) მისაწვდომობის შეფასებას;

ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

თ) სახურავის ანაწყობების შეფასებას;

ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;

კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;

ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

მ) ავტომობილებთან დაკავშირებული მოთხოვნების შეფასებას;

შ ი ნ ა ა რ ს ი:

პროექტის კორექტირების ძირითადი მიზანია ავტოსაშხეფი სისტემის გაუქმება, რის საშუალებასაც განსახილველი პროექტი იძლევა. შემცირებულია, აგრეთვე, საპროექტო შენობის გაბარიტები.

გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ა:

ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:

- საპროექტო შენობაში განთავსებულია რამდენიმე ფუნქციური დანიშნულების სივრცე, კერძოდ: ავტომობილების შესაკეთებელი გარაჟი, ლითონის ავტონაწილების ორი ერთმანეთში გამავალი საწყობი, სავაჭრო სივრცე და საოფისე სივრცეები (ადმინისტრაცია). გამომდინარე აქედან საქმე გვაქვს რამდენიმე დაკავებულობის ჯგუფთან, ესენია: საშუალო საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი (**სწ-1**), მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი (**სწ-2**), სავაჭრო ჯგუფი (**სვ**) და საქმიანი ჯგუფი (**სქ**)

  პროექტის ავტორის მიერ სწორად არის განსაზღვრული დაკავებულობები, რაც შეესაბამება „წესების“ 311.2, 311.3, 309 და 304 ქვეთავების მოთხოვნებს.

- დაკავებულობის დატვირთვის ნაწილში საპროექტო დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაცია აკმაყოფილებს „წესების“ 1004.1.2 ცხრილის მოთხოვნებს, კერძოდ: საპროექტო შენობების ყოველ ცალკეულ ფართობს ზემოაღნიშნული ცხრილის მიხედვით მიკუთვნებული აქვს გარკვეული სივრცის სტატუსი (გარაჟს ავტოსადგომი გარაჟების, საწყობებს - საწყობების, სავაჭრო სივრცეს - მიწისპირა სავაჭრო კომერციული სივრცის, ხოლო ოფისებს - საქმიანობის წარმოების (ბიზნეს)

სივრცის) და შემდეგ ამ სივრცეების ფართობები, ასევე ცხრილის მიხედვით, გაყოფილია შესაბამისი დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორებზე.

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

- პროექტის ავტორის მიერ საპროექტო შენობისთვის მიკუთვნებული კონსტრუქციის ტიპი (**I-B**) შერჩეულია არსებული სარეკონსტრუქციო შენობის სტრუქტურული ჩარჩოსა და სახურავის კონსტრუქციების, ასევე დაკავებულობების, სიმაღლისა და სართულის ფართობის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს. (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის კონსტრუქციის ტიპების მიხედვით იხ. 601 ცხრილში)

გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- საპროექტო ობიექტის სიმაღლე და ფართობი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციის ტიპთან (**I-B**) და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს. შენობის სიმაღლე მიწის დონესა და სახურავის ყველაზე მაღალი ზედაპირის საშუალო სიმაღლემდე განსაზღვრულია სწორად და არის 8.66 მეტრი.

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

შენობას, დაკავებულობებიდან, სართულიანობიდან და გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილებიდან გამომდინარე (ცხრილი 1021.2(2)), ესაჭიროება რამდენიმე გასასვლელი, რაც პროექტით გათვალისწინებულია, კერძოდ:

- შენობის -0,30 ნიშნულზე განთავსებულ სავაჭრო ფართობს (სვ) და დაცვის ოთახს (სქ) გააჩნია თითო დამოუკიდებელი გასასვლელი, გზა-კარის სახით, რომლიდანაც საზოგადოებრივ სივრცეში (ქუჩის ტროტუარზე) მოხვედრა შესაძლებელია პირდაპირ, ვინაიდან ზემოაღნიშნული ფართობების და ტროტუარის ნიშნულები ერთმანეთს ემთხვევა;

- ორი გასასვლელი (გზა-კარი) აქვს ავტომობილების შესაკეთებელ გარაჟს, რომელთაგან ერთ-ერთი („ო-ნ“ ღერძებში მოწყობილი, ქუჩაში გამავალი გზა-კარი) არის შვეულად მოსრიალე დამცავი გისოსი, რომელიც 1008.1.4.4 ქვეთავის მოთხოვნათა გათვალისწინებით არის მოწყობილი, ხოლო მეორე - ორფრთიანი კარი რომლის მეშვეობითაც ვხვდებით ჯერ შიგა ეზოში, ხოლო შემდეგ - „ლ-ი“ ღერძებს შორის მდებარე გასასვლელის (შიგა ეზოს კომპონენტი) მეშვეობით - საზოგაზოგადოებრივ სივრცეში. გასასვლელი არის როგორც სამანქანო, ასევე საფეხმავლო. გასასვლელი ბოლოვდება 7%-ანი პანდუსით;

- „1-8“ და „8-12“ ღერძებში განთავსებულ სასაწყობე ფართობებს (სწ-2), რომლებიც ერთმანეთში გამავალია, გააჩნია 5 საერთო გასასვლელი, გზა-კარების სახით, რომელთაგან ერთი მდებარეობს „თ“ ღერძზე, ორი - „ი“ ღერძზე, ერთი - „4“ ღერძზე, ხოლო ერთიც - „12“ ღერძზე („ი-ზ“ მონაკვეთზე). ამ უკანასკნელი გზა-კარის ცეცხლმედეგობის ხარისხი, წინა პროექტში, განსაზღვრული იყო 20 წუთით, რაც გამომდინარეობდა იმ გარემოებით, რომ „12-13“ ღერძებს შორის მდებარე გზა-კიბეები მიჩნეული იყო შიგა გასასვლელის გზა-კიბეებად, მაშვინ როცა ეს გზა-კიბეები, თავისი მახასიათებლებით, წარმოადგენს გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბეებს, რაც განსხვავებული მცნებებია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კორექტირებულ პროექტში გამარტივებულია ბევრი რამ და მათ შორის ის, რომ „12“ ღერძზე მდებარე გზა-კარს ცეცხლმედეგობა არ მოეთხოვება, ხოლო ამ გზა-კარიდან საზოგადოებრივ სივრცეში მიმავალი დერეფანი, რომელიც „12-14“ ღერძებს შორისაა, არ წარმოადგენს 1023-ე ქვეთავის შესაბამისად მოსაწყობ გზა-დერეფანს. სასაწყობო ფართობების გზა-კარები („12“ ღერძზე მდებარე გზა-კარის გარდა) გადის შიგა ეზოში, რომლიდანაც

საზოგადოებრივ სივრცეში მოხვედრა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესაძლებელია „ლ-ი“ ღერძებს შორის მდებარე გასასვლელის საშუალებით;

- ერთ-ერთ სასაწყობო ფართობს (**სწ-2**), +4,20 ნიშნულზე, გააჩნია ანტრესოლის მაგვარი მეორე სართული, სადაც ანალოგიური დაკავებულობის ჯგუფის (**სწ-2**) სასაწყობო სივრცეა განთავსებული. ამ სართულს, „წესების“ 1021.2(2) ცხრილის მიხედვით, ესაჭიროება ორი გასასვლელი, რაც პროექტში გათვალისწინებულია გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბეების სახით. 1009.3 ქვეთავის N1 გამონაკლისის თანახმად, ამ გზა-კიბეებს შემოზღუდვა არ ესაჭიროება;

- ორი გასასვლელი ესაჭიროება +4,70 ნიშნულზე განთავსებულ საოფისე ფართობსაც (**სქ**), რაც ასევე გათვალისწინებულია პროექტში გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბეების სახით, რომლებიც, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, „12-13“ ღერძებს შორის მდებარეობს. 1009.3 ქვეთავის N1 გამონაკლისის თანახმად, არც ამ გზა-კიბეებს ესაჭიროება შემოზღუდვა, მითუმეტეს, რომ გზა-კიბეები აკავშირებს 508.4 ცხრილის შესაბამის გაუმიჯნავ დაკავებულობებს (**სქ**, **სვ** და **სწ-1**), მიუხედავად ამისა, რაღაც დონეზე გზა-კიბეები შემოზღუდულია;

- გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორად, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული ფართობის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს „წესების“ 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- შენობიდან გამოსვლა, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ, ხდება -0.30 და ±0.00 ნიშნულზე რის შემდგომ საზოგადოებრივ სივრცეში გასვლა შესაძლებელია პირდაპირ ან შიგა ეზოს გავლით. შიგა ეზოსთან დაკავშირებული რეგულაციები დაცულია და აკმაყოფილებს 1027.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:

- სასაწყობო ფართობების დამაკავშირებელი ორივე გზა-კიბის სიგანე (მოაჯირებს შორის) არის 1,22 მ, ხოლო საოფისე ფართობში არსებული კიბეების 1,30 მ, რაც აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთავების მოთხოვნებს (თუმცა 1009.4 ქვეთავის N1 გამონაკლისის თანახმად, ვინაიდან დაკავებულობის დატვირთვა არის 50-ზე ნაკლები, კიბეების სიგანე შეიძლება ყოფილიყო 90 სმ). კიბეებზე მოწყობილია სახელურები და მოაჯირები 1012 და 1013 ქვეთავების მოთხოვნათა დაცვით. სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს, ხოლო გზა-კიბეების ბაქნების ზომები შეესაბამება 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს;

- ყველა კარის (რაც გასასვლელი საშუალების ნაწილია) სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს 82სმ თავისუფალ სიგანეს, რაც აკმაყოფილებს 1008.11 ქვეთავის მოთხოვნებს;

- გასავლელების სიგანე არის 1,2მ-ზე მეტი და აკმაყოფილებს 1005.3.2 და 1017 ქვეთავის მოთხოვნებს.

ვ) მისაწვდომობის შეფასება:

- საპროექტო შენობის თითქმის ყველა შესასვლელი არის მისაწვდომი, რაც აკმაყოფილებს, როგრც 1104.4 ქვეთავის, ასევე 1105.1 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ: შენობის პირველი სართულის დონეზე მოხვედრა შესაძლებელია ზოგ შემთხვევაში პირდაპირ ქუჩის ტროტუარის ან ეზოს დონიდან, ხოლო ზოგ შემთხვევაში

პანდუსების მეშვეობით, რომელთა დახრა არის 7%კმ, რაც აკმაყოფილებს 1010-ე ქვეთავის მოთხოვნებს;

- რაც შეეხება მეორე სართულზე განთავსებულ ადმინისტრაციის ოთახებს და სასაწყობო ფართობს, ვინაიდან თითოეული მათგანის ფართობი ნაკლებია 280კვ.მ-ზე და ამასთან ანალოგიური დატვირთვის ფართობები გათვალისწინებულია პირველ სართულზეც, 1104.4 ქვეთავის N1 გამონაკლისის თანახმად, მისაწვდომი სვლაგეზი არ ესაჭიროება;

- ყველა კარი, რომელიც გასასვლელი საშუალების ნაწილია არის მისაწვდომი.

- სწორად არის განსაზღვრული მისაწვდომი სვლა-გეზი;

- შშმ პირთა გადადგილება საზოგადოებრივი სივრციდან შენობამდე და პირიქით შესაძლებელია დაუბრკოლებლად ;

- შენობაში არის ერთი მისაწვდომი ტუალეტი, რომელიც აკმაყოფილებს 1109.2 ქვეთავის მოთხოვნებს;

ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

- საპროექტო შენობის ყველა გარე კედლის ხანძარმედეგობის ხარისხი არის 2 საათი (რეალურად ბლოკის კედელს 721.1(2) ცხრილის მიხედვით აქვს უფრო მეტიც) და შესაბამისად დაკმაყოფილებულია 602 ცხრილის ყველაზე მკაცრი მოთხოვნები;

- დაცულია, აგრეთვე, გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი 705.8 ცხრილის მიხედვით.

- არსებული შენობის გარე კედლებს არ აქვს პარაპეტი (უფრო ზუსტად აქვს, მაგრამ მცირე ზომის) რაც დასაშვებია 705.11 ქვეთავის N3 გამონაკლისის თანახმად ვინაიდან სახურავი, საყრდენი კონსტრუქციის და ფენილის ჩათვლით, მთლიანად არაწვადი მასალებითაა აგებული, ხოლო რაც შეეხება მისაშენებელ (საპროექტო) ნაწილებს, აქ პარაპეტების არსებობა, ძირითადად განსაზღვრულია საჭიროების მიხედვით, სახურავის კონსტრუქციებში გამოყენებული მასალების მიხედვით.

თ) სახურავის ანაწყობების შეფასება:

- განსახილველი შენობის <u>არსებული ნაწილის</u> სახურავის საყრდენ კონსტრუქციად გამოყენებულია რკინა-ბეტონის ფერმები, ფენილად - რკინა-ბეტონის ფილები, რაც დაფარულია მრავალშრიანი ბურულით. <u>ზოგიერთი მიასაშენებელი ნაწილის</u> სახურავის საყრდენ კონსტრუქციად გამოყენებულია ლითონის ორტესებრი კოჭები და შველერები, ფენილად - მასიური ხე, ხოლო ბურულად - თუნუქის ფურცლები. <u>ერთ-ერთი მისაშენებელი ნაწილის (მხედველობაშია „12-14“ ღერძებში მოწყობილი მალი)</u> სახურავის საყრდენ კონსტრუქციად გამოყენებულია რკინა-ბეტონის კოჭები, ფენილად - რკინა-ბეტონის ფილა, რაზეც მოწყობილია მრავალშრიანი ბურული. შესაბამისად შენობის სახურავი არის ნაწილობრივ ქანობიანი და ნაწილობრივ ბრტყელი. სახურავს არ გააჩნია ნაშვერები, და როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად მოქცეულია სხვადასხვა სიმაღლის მქონე პარაპეტში. შენობის მცირე სიმაღლის პარაპეტები არ აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ კონკრეტულ შემთხვევებში სახურავის კონსტრუქციები, მთლიანად არაწვადი მასალებისგან (რკინა-ბეტონისგან) არის აგებული და 705.11 ქვეთავის N3 გამონაკლისის თანახმად, პარაპეტი შესაძლებელია საერთოდ არ იყოს. აქვე ორიოდ სიტყვით შევეხოთ შენობის განსხვავებულ ანუ არა რკინა-ბეტონის კონსტრუქციის სახურავებს, კერძოდ: „1-2“ და „თ-მ“ მალებში მოქცეულ სახურავის კონსტრუქციას ცეცხლმედეგობა არ ესაჭიროება, ვინაიდან ყოველი მისი ნაწილი უშუალოდ მის ქვეშ მდებარე იატაკიდან 6,0 მ-ზე ზემოთაა. რაც შეეხება „8-11“ მალში მოქცეულ სახურავის

კონსტრუქციას, მას ესაჭიროება 1 საათიანი ცეცხლმედეგობა, რაც პროექტში მიღწეულია ლითონის კოჭების თაბაშირ-მუყაოს ორმაგი ფილით შეფუთვის ხარჯზე. შესაბამისად საპროექტო შენობის სახურავის კონსტრუქციის ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს 601 ცხრილის მოთხოვნებს **I-B** ტიპის კონსტრუქციის შენობასთან მიმართებაში.

ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

- კონსტრუქციის ტიპიდან (**I-B**) გამომდინარე შენობის ყველა იატაკის კონსტრუქციას უნდა გააჩნდეს 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი (ცხრილი 601), თუმცა 721.1(1) ცხრილის N7 პუნქტის თანახმად, რკინა-ბეტონის კონსტრუქციის იატაკის ფილას (და სწორედ ასეთ ფილასთან გვაქვს ამჟამად საქმე) გააჩნია 3 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი (იხ. პირობითი აღნიშვნები);

- რაც შეეხება შვეულ გამმიჯნავებს, საპროექტო შენობაში ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი შვეული გამმიჯნავები საჭიროა მხოლოდ **სწ-2**-ის გასამიჯნად **სვ**-სგან (2 სთ), აგრეთვე ავტომობილების შესაკეთებელი გარაჟის სივრცის გამოსაყოფად დანარჩენი სივრცეებისგან (3 სთ), რათა დაცულ იქნას 707.3.10 ცხრილის მოთხოვნები ცეცხლისაგან დაცულ ფართობთან დაკავშირებით;

კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას:

- შეთანხმეული პროექტის მიხედვით, ავტოსაშხეფი სისტემა მოწყობილი იყო მხოლოდ სასაწყობო ფართობებში (სწ-2), რადგან ამ სივრცეებს არ გააჩნდა „წესების“ მოთხოვნათა შესაბამისი ღიობები და ითვლებოდა სართულებად ღიობების გარეშე. აღსანიშნავია, რომ კორექტირებულ პროექტში ეს გარემოება შეცვლილია და სასაწყობო ფართობებს გააჩნია 903.2.11.1 ქვეთავის N2 პოზიციის შესაბამისი ღიობები, რაც იმას ნიშნავს, რომ ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობის აუცილებლობა აღარ არის;

- შენობაში გათვალისწინებულია სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები, კერძოდ:

  1) სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა რომლის კოლოფები 907.4.2.1 ქვეთავის თანახმად განთავსებულია თითოეული გასასვლელიდან 1,5 მ-ის ფარგლებში ისე, რომ მათთან მისასვლელი მანძილი 60მ-ს არ აღემატება;
  2) სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა;
  3) კვამლის/ცეცხლის ავტომატური აღმომჩენები;
  შენიშვნა: სახანძრო განგაშის სისტემები უნდა მოეწყოს 907.2 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).

- შენობაში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრების განთავსება.
  შენიშვნა: ცეცხლმაქრები უნდა შეირჩეს და მოეწყოს 906 ქვეთავისა და NFPA 10-ის შესაბამისად (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება).

ხანძრისგან დაცვის სისტემები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.

ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

- შენობაში ერთ ადგილზე თავმოყრილია ტუალეტები (მათ შორის ერთი მისაწვდომი), აქვეა მოწყობილი სამომსახურო ნიჟარა. წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა და სავალი მანძილები (ნაკლებია 150 მ-ზე) შეესაბამება „წესების“ 1602.1 ცხრილის და 1602.3.2 ქვეპუნქტის მოთხოვნებს. შენობა უზრუნველყოფილია სასმელი წყლის აპარატებით, რაც თავისთავად ასრულებს ცხრილის მიხედვით განსაზღვრული წყლის დასალევი შადრევნის ფუნქციას.

მ) ავტომობილებთან დაკავშირებული მოთხოვნების შეფასება:

- დაცულია ავტოსადგომისათვის საჭირო მოთხოვნები, კერძოდ: ავტომობილების შესაკეთებელ გარაჟში საავტომობილო გზის (გასავლელის) სიგანე, აგრეთვე ავტოსადგომის ზომები, განლაგება და დახრის კუთხე აკმაყოფილებს "წესების" 406.9.3 და 406.9.4 ქვეთავების მოთხოვნებს;

- 406.8.2 ქვეთავის თანახმად, ავტოშესაკეთებელი გარაჟი ნიავდება მექანიკურად (იხ. განმარტებითი ბრათი და ცხრილი).

  შენიშვნა: ავტოშესაკეთებელი გარაჟები 406.8.1 – 406.8.5 ქვეთავების შესაბამისად უნდა აიგოს.

დასკვნა

ქ. თბილისში, სამგორის ქ. N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.17.12.003.190) დაპროექტებული მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია "ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებთან და ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

გაფრთხილება:

1. კონსტრუქციული და საინჟინრო და სახანძრო უსაფრთხოების სისტემების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები"-ს მოთხოვნების დაცვით.
2. კონსტუქციული(სტრუქტურული) პროექტის დამუშავებისას დაცულ უნდა იქნას პროექტში მითითებული ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის 721-ე ქვეთავის მიხედვით.
3. სათადარიგო/საავარიო ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

- გასასვლელების ნიშნების და გასასვლელი საშუალებების განათება მე-10 თავის მოთხოვნათა შესაბამისად

4. არცერთ პირს არ შეუძლია აიღოს ან შეცვალოს ხანძრისგან დამცავი წესების შესაბამისად გათვალისწინებული და მოწყობილი რომელიმე სისტემა, მშენებლობის ნებართვის გამცემი/ზედამხედველი ორგანოს თანხმობის გარეშე;
5. უკანონოდ ჩაითვლება შენობის რომელიმე ნაწილის გამოსაყენებლად ვარგისად აღიარება, თუ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები წინასწარ შემოწმებული და აღიარებული არ არის.

ექსპერტი: ირაკლი კვარაცხელია

ექსპერტის მონაცემები

სახელი, გვარი: ირაკლი კვარაცხელია

დაბადების თარიღი და ადგილი: 23 ივნისი 1973 წელი, ქ. თბილისი

მისამართი: ქ. თბილისი, ჯანაშვილის ქ 5-7, ტ: 597 228 560

განათლება: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, არქიტექტურის ფაკულტეტი

პროფესია: არქიტექტორი

მუშაობის სტაჟი: 18 წელი

პროფესიული გამოცდილება: 1998 – 2008 წწ. ქ.თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახური (მთ. სპეციალისტი, შემდგომ განყოფილების უფროსი)

2008 –2010 წწ. შპს “საამშენებლო კომპანია პლანეტა” (არქიტექტორი)

2010 – 2017 წწ შ.პ.ს “თბილქალაქპროექტი" (არქიტექტორი, შემდგომ დირექტორი დღემდე)

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2017-007

გადაეცემა

ირაკლი კვარაცხელიას

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი

საქართველო

დიპლომი უა № 003165

მიეცა [illegible] ალექსანდრეს ძე [illegible]

მასზე, რომ ის 1990 წელს შევიდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

და 1996 წელს დაამთავრა [illegible] უნივერსიტეტის სრული კურსი

არქიტექტურის სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1996 წლის „17" ივლისის გადაწყვეტილებით [illegible] მიენიჭა

არქიტექტორის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე [signature]

რექტორი [signature]

მდივანი [signature]

სარეგისტრაციო № 4216

ქალაქი თბილისი „29" VII 1996 წ.

МПФ Гознака. 1996.